პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 13 (401) პარასკევი, 31 მარტი, 1950 წ. ფასი 30 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საჭადრაკო ხელოვნება — მაღალ საფეხურზე!

ჭადრაკმა — უძველესმა და ურთულესმა ხელოვნებამ — საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჰპოვა განვითარება. ეს საინტერესო და მიმზიდველი თამაში ფართოდ გავრცელდა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მასებში, და აი, 1926 წელს თბილისში ჩატარდა პირველი მასობრივი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 700 კაცმა (იმ დროისათვის ეს რიცხვი ძალზე დიდია).

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების წარმოება-დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში იზრდებოდა საჭადრაკო წრეების რაოდენობა. თბილისის საჭადრაკო კლუბმა, რომელსაც მიმდინარე სეზონში თავისი არსებობის 24 წელი უსრულდება, დიდი როლი თამაშა სპორტის ამ წარმტაცი სახის განვითარებაში. მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდეს ჭადრაკის ალმავლობას რესპუბლიკაში სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. გოგლიძემ და სხვებმა, რომლებმაც ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე აღზარდეს.

უკანასკნელ წლებში საქართველოში ჭადრაკის შემდგომ წინსვლას ერთგვარი განვითარება დაეტყო, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ დგას მოწოდების სიმაღლეზე. აქ განსაკუთრებით ხაზი უნდა გაუსვათ იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომ ჩვენში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მაღალი კვალიფიკაციის მოჭადრაკეთა მომზადება, რომელთაც ღირსეულად შეეძლებათ რესპუბლიკის სახელის დაცვა დიდ საკავშირო ტურნირებში. ამის ნათელსაყოფად საკმარისია თუნდაც შემდეგი ორი ფაქტის მოყვანა: 1937 წლის შემდეგ საქართველოს ვერც ერთმა მოჭადრაკემ ვერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება; 26.424 მოჭადრაკეთაგან რესპუბლიკაში მხოლოდ ორია სპორტის ოსტატი და თორმეტი — ოსტატობის კანდიდატი.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ სუსტად წარმოებს ნიჭიერ მოჭადრაკეთა გამოვლინება და მათი აღზრდა. თვით მოწინავე მოჭადრაკეები არასერიოზულად ეკიდებიან სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობას, ნაკლებად მუშაობენ საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, თეორიული ცოდნის გაღრმავებაზე, პრაქტიკული გამოცდილების შეძენაზე.

სუსტად ხელმძღვანელობენ ჭადრაკის განვითარების საქმეს აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურის კომიტეტები, აგრეთვე ნებაყოფილობითი სპორტული საზოგადოებები. თავიანთ საქმიანობას უკანასკნელნი ძირითადად დაბალი თანრიგების მოჭადრაკეებთან წარმართავენ, რაც, ცხადია, სწორი არ არის.

ჩვენ დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ რაიონული, საქალაქო, საოლქო, რესპუბლიკური ტურნირების, ასევე კვალიფიკაციის ასამაღლებელი შეჯიბრებების ხშირად ჩატარებას. უნდა გამოვასწოროთ აგრეთვე მოჭადრაკე ქალთა მომზადების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

ახალგაზრდობა — ჩვენი მომავალია! ეს დევიზად უნდა გავიხადოთ ჭადრაკშიც. ამჟამად კი ჭადრაკს საშუალო სკოლაში და ნორჩ მოჭადრაკეთა აღზრდას რესპუბლიკაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა. ამ მხრივ არც უმაღლეს სასწავლებლებშია სახარბიელო მდგომარეობა. განა ამაზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ გასულ წელს საჭადრაკო ჩემპიონატი არ ჩაუტარებიათ ისეთ დიდ უმაღლეს სასწავლებლებში, როგორიცაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი?..

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ჭადრაკის შემდგომი განვითარების შესახებ საქართველოში. მიღებულ დადგენილებათა განუხრელად განხორციელებამ მძლავრი ბიძგი უნდა მისცეს ჭადრაკის ალმავლობას ჩვენში. ფიზკულტურის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ მოჭადრაკე-თანრიგოსანთა მომზადებას; აწარმოონ გეგმიანი მუშაობა თავიანთ ნაკრებ გუნდებთან; მეტი დახმარება აღმოუჩინონ მოზრდილთა საჭადრაკო წრეებისა და სექციების საქმიანობას, სისტემატურად ჩაატარონ სხვადასხვა ტურნირები (შიდასაკოლექტივო, საკვალიფიკაციო და სხვ.). სპორტის ამ საინტერესო სახეში ფართოდ უნდა ჩავაბათ ახალგაზრდობა.

აქტიურად ჩატარდა ამ დღეებში რესპუბლიკური საჭადრაკო სექციის პლენუმი. პლენუმზე გამოსულმა ამხანაგებმა საქმიანად ილაპარაკეს იმ ნაკლოვანებებზე, რაც ჩვენ ჭადრაკის დარგში გაგვაჩნია. პლენუმმა დასახა ღონისძიებანი რესპუბლიკაში ჭადრაკის შემდგომი განვითარებისათვის და მასში ახალგაზრდობის ფართო მასების ჩასაბმელად.

ავიყვანოთ საჭადრაკო ხელოვნება მაღალ საფეხურზე! ასეთია ჩვენი სპორტული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანა. ამ პატრიოტული მოვალეობის წარმატებით შესრულებაში ჩვენ აღგვაფრთოვანებს იმის შეგნება, რომ საბჭოთა საჭადრაკო სკოლა ყველაზე უფრო მოწინავეა მთელს მსოფლიოში.

## საკავშირო კონკურსი საჭადრაკო ეტიუდზე

რესპუბლიკური სპორტული გაზეთი „ლელო“ აცხადებს საჭადრაკო ეტიუდების შედგენის საკავშირო კონკურსს.

ყოველ მონაწილეს განუსაზღვრელი რაოდენობით შეუძლია ცენტრალურ პრესაში თავისი გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების გამოგზავნა არა უგვიანეს ა. წ. 15 მაისამდე შემდეგი მისამართით: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი, 12, გაზეთ „ლელოს“ რედაქცია.

კონვერტზე უნდა იყოს აღნიშვნა „საჭადრაკო ეტიუდების შედგენის საკავშირო კონკურსისათვის“. თვითეული კომპოზიცია უნდა იყოს გამოსახული დიაგრამაზე სამ ცალად პირობითი დევიზის თანდართვით.

ავტორის გვარი და მისამართი იგზავნება ცალკე კონვერტით, რომელსაც უნდა დააწეროს იგივე დევიზი.

გამარჯვებულთათვის დაწესებულია ხუთი ჯილდო: პირველი—500 მანეთის რაოდენობით, მეორე—400 მან., მესამე—300 მან., მეოთხე—200 მან., მეხუთე—100 მან. დაწესებულია აგრეთვე ხუთი საპატიო სიგელი და 5 ქების სიგელი.

კონკურსის მსაჯთა კოლეგიაში შედიან სპორტის ოსტატი გ. კასპარიანი (მთავარი მსაჯი) და ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე.

## 2 აპრილი — სეზონის პირველი დღე

### 14 გუნდის ტურნირი

2 აპრილი საქართველოს სსრ 1950 წლის სპორტული სეზონის გახსნის დღეა.

ამ დღეს დედაქალაქში ჩატარდება დიდი სპორტული ღონისძიებები. ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე აღიმართება რესპუბლიკაში საზაფხულო სპორტული სეზონის ალამი. საქართველოს 14 უძლიერესი ქალაქის ნაკრები გუნდისა და თბილისელ ფეხბურთელთა მონაწილეობით მოეწყობა აღლუმი. შემდეგ დაიწყება მატჩები ფეხბურთში. ფეხბურთის სეზონის გახსნის ჯილდოსათვის ერთმანეთს შეეცილებიან: ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, თბილისის, ხაშურის, მახარაძის და სხვა ქალაქების ნაკრები გუნდები. როგორც ცნობილია, გასულ წელს ფეხბურთის სეზონის გახსნის ჯილდო ქუთაისელმა ფეხბურთელებმა მოიგეს.

ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის „დინამოს“ გუნდები ძირითადი და დუბლშემადგენლობებით. „დინამოს“ სტადიონზევე მოეწყობა რესპუბლიკის საუკეთესო მძლეოსნების საჩვენებელი გამოსვლა. ისინი ერთმანეთს შეეჯიბრებიან სხვადასხვა მანძილზე რბენაში, ხტომებში და სხვ.

### კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივით

ზუგდიდის ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის კომკავშირის ორგანიზაციის ინიციატივით სკოლაში მოეწყო ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები, დაბრკოლებათა გადალახვის ზოლი, სარბენი ბილიკი და მოედანი დილის გამამხნევებელი ვარჯიშისათვის.

ამჟამად ახლად მოწყობილ სპორტმოედანზე მოსწავლე ფიზკულტურელები სისტემატურად აწარმოებენ საწვრთნელ მეცადინეობას და იბრძვიან იმისათვის, რათა ყოველმხრივ მომზადებულნი შეხვდნენ საზაფხულო სპორტულ სეზონს.

ბ. ალშიბაია

ზუგდიდი.

### შენდება საცურაო აუზი

თელავი. ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში ახალგაზრდობის მონაწილეობით მიმდინარეობს დიდი საცურაო აუზის მშენებლობა, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულში დამთავრდება. იქვე მოეწყობა კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტი და ფიზკულტურული პავილიონი.

ა. დარიაშვილი

## ზეგ საქართველოში აღიმართება საზაფხულო სპორტული სეზონის ალამი



### თბილისის ფეხბურთელები მოედანზე

გასულ კვირას ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე დილიდანვე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი.

სრულ 10 საათზე იწყება თბილისში საფეხბურთო სეზონის გახსნის ჯილდოზე მონაწილე გუნდების შეჯიბრება მძლეოსნობაში და ფეხბურთის ტექნიკური ელემენტების დაუფლების ჩვენებაში.

2 საათზე დაიწყო სეზონის გახსნის ჯილდოზე მოთამაშე გუნდების აღლუმი.

იწყება მოსკოვის ვვს-ის და თბილისის ოფიცერთა სახლის ოსტატთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა, რომელიც დასრულდა სტუმრების გამარჯვებით — 2:0.

ოსტატებს მოედანზე ცვლიან ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და 35-ე ვაჟთა საშუალო სკოლის II გუნდი. გაიმარჯვეს სტუდენტებმა — 2:0.

სავარჯიშო მოედანზე ამ დროს ჩატარდა კიდევ ორი მატჩი. პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამატებით დროში გამარჯვება მოიპოვა ანგარიშით 1:0 სპორტსაზოგადოება „თვითმფრინავის“ წარმომადგენლებთან, ხოლო ფიზკულტურის ინსტიტუტის III გუნდმა დაამარცხა ოფიცერთა სახლის III გუნდი — 3:1.

სურათზე თბილისის ფეხბურთელთა გუნდების აღლუმი.

ფოტო ვ. რუსეცკისა

### ინდუსტრიულ ქუთაისში

ქ. ქუთაისის ფიზკულტურული ორგანიზაციები ენერგიულად იბრძვიან ფიზიკური კულტურის განვითარების მიმდინარე წლის გეგმის განხორციელებისათვის.

ქალაქში დიდი მუშაობა ჩატარდება სპორტული ბაზების კეთილმოსაწყობად. განზრახულია საცურაო აუზების აშენება საავტომობილო ქარხნისა და სამკერვალო ფაბრიკის ტერიტორიებზე. დასასრულს უახლოვდება „დინამოს“ სტადიონის რემონტი. აქ აღდგენილი იქნება ჭიდაობისა და კრივის დარბაზი

ფართოვდება ძირეული კოლექტივების სპორტნაგებობათა ქსელი. მე-4 სახელოსნო სასწავლებელმა მოაწყო ტანვარჯიშის ბაქანი და დარბაზი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, წინაღობათა ზოლი და სხვ. ასეთივე მუშაობა ჩაატარეს პედაგოგიური სასწავლებლის, ვაჟთა მე-2 საშუალო და ქალთა მე-5 საშუალო სკოლების ფიზკულტურულმა კოლექტივებმა და სხვ.

ქალაქის ფიზკულტურული ორგანიზაციები, ენერგიულად იბრძვიან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 27 დეკემბრის დადგენილების განხორციელებისათვის, აუმჯობესებენ სასპორტო-ტექნიკურ მუშაობას. წელს, მაგალითად, შარშანდელთან შედარებით გაცილებით მაღალი სპორტული შედეგები გამოვლინდა მოსწავლეთა საქალაქო შეჯიბრებაზე ფარიკაობაში, კლასიკურ ჭიდაობაში, კალათბურთში, კრივსა და ფრენბურთში.

ფეხბურთელები („დინამო“ და „ტორპედო“), მძლეოსნები, კალათბურთელები, მოკრივეები, მოჭიდავეები და სხვები ენერგიულად ემზადებიან რესპუბლიკური შეჯიბრებებისათვის.

საზაფხულო სასპორტო სეზონის გახსნასთან დაკავშირებით ქალაქსა და რაიონში ჩატარდება დიდი სპორტული ღონისძიებები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ ფეხბურთელები, მძლეოსნები, ძალოსნები და სხვ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა ამ დღეებში განიხილა საკითხი ქალაქში საზაფხულო სპორტული სეზონისათვის ფიზკულტურული კოლექტივების მზადების შესახებ. ქუთაისის ფიზკულტურული ორგანიზაციების ვალია პარტიის ქალკომის დადგენილების მტკიცედ შესრულებით ღირსეულად აღნიშნონ სპორტული სეზონის დაწყება და ახალი მიღწევებით ჩაატარონ 1950 წელი.

ბ. ბრძოლიშვილი

ქუთაისი.

## გუნდი დაუკომპლექტებელია, სტადიონი მზად არ არის

### ბათუმის „დინამო“ უკეთესად უნდა მუშაობდეს

ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდს კარგი ტრადიცია ჰქონდა. იგი 1937 წლიდან 1940 წლამდე წარმატებით იცავდა აჭარის სპორტულ ღირსებას.

ბათუმის დინამოელებმა მრავალჯერ მოიგეს მატჩები საქართველოსა და აჭარის პირველობაზე. 1939 წელს ისინი შეყვანილი იქნენ ოსტატ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მეორე ჯგუფში და სეზონის განმავლობაში იცავდნენ ქალაქის სპორტულ პრესტიჟს. მაგრამ ეს იყო წინათ...

როგორც ცნობილია, საბჭოთა სპორტსმენები მიღწეულით არასოდეს არ კმაყოფილდებიან, ყოველდღიურად იმაღლებენ თავიანთ ოსტატობას და ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევენ. მოსალოდნელი იყო, რომ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ფეხბურთელებსაც დაეტყობოდათ წინსვლა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. უკანასკნელი წლების მანძილზე ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს საპატიო ადგილის მოპოვება აჭარისა და საქართველოს პირველობებზე და თასისათვის გათამაშებულ მრავალრიცხოვან მატჩებში.

რითაა გამოწვეული დინამოელთა წარუმატებლობა?

წარუმატებლობის მიზეზი „დინამოს“ საბჭოს მუშაობაშია, რომელმაც ვერ უზრუნველყო ფიზკულტურულ კადრებთან პოლიტაღმზრდელობითი და სპორტული მუშაობის სათანადოდ მოწყობა, დისციპლინის განმტკიცება. მარტო გასულ წელს სამჯერ შეიცვალა „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი. საწვრთნელი ვარჯიშების სუსტად დაყენების შედეგად კოლექტივში მთელი წლის განმავლობაში შემთხვევითი მოთამაშეები იყრიდნენ თავს.

მოკლე ხანში ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე აფრიალდება საფეხბურთო სეზონის გახსნის მაუწყებელი ალამი, დაიწყება სხვადასხვა გათამაშების კალენდარული მატჩები.

მზად არიან თუ არა ბათუმის დინამოელები ამ საინტერესო ასპარეზობისათვის? სამწუხაროდ, არა.

ჯერ გუნდის შემადგენლობაც კი არ არის დაკომპლექტებული. მაგალითად „დინამოს“ ხელმძღვანელთა აზრით ვ. გოგიბერიძემ მიმდინარე წლის სეზონში თავდამსხმელთა სამეულში უნდა ითამაშოს, მაგრამ, როგორც ირკვევა, გოგიბერიძეს „ბურევესტნიკის“ გუნდში სურს თამაში და არა „დინამოში“.

„დინამოს“ აქვს საკუთარი სტადიონი, მაგრამ იგი მზად არ არის მიმდინარე წლის სპორტული სეზონისათვის. სტადიონის მოაჯირები და ტრიბუნები დამპალია და მატჩების დროს მოსალოდნელია მისი ჩანგრევა. შესასწორებელია საფეხბურთო მოედანი, მძლეოსნობის სექტორები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტადიონი შემოღობვას საჭიროებს. ცუდ მდგომარეობაშია კრივის, ტანვარჯიშისა და ჭიდაობის დარბაზები. სპორტული ინვენტარი მოუვლელობით ფუჭდება.

სავალალო მდგომარეობაშია აგრეთვე „დინამოს“ წყალჯომარდობის სადგური. გასულ სეზონში აქ არავითარი სექციური მუშაობა არ ჩატარებულა. მიმდინარე წელს სადგურის რემონტისათვის 50.000 მანეთია განკუთვნილი. საცურაო აუზის, გასახდელი ოთახების, იალქნიანი და ნიჩბიანი ნავების ხარისხიანი რემონტი, რომელიც 2 მაისამდე უნდა დამთავრდეს, მეტად სერიოზული საქმეა და უნდა ვიფიქროთ, რომ იმ ტემპებით მუშაობა, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს სადგურში, საფრთხის წინაშე აყენებს რემონტისა და კეთილმოწყობის დროულად დამთავრებას.

უკანასკნელ ხანებში არჩეულ იქნა „დინამოს“ საბჭოს ახალი შემადგენლობა, რომელმაც საქმიანად მოჰკიდა ხელი ნაკლოვანებათა გამოსწორებას, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია.

ბათუმის „დინამოს“ ყველა პირობა გააჩნია მასობრივი სპორტის განვითარებისათვის, სპორტსმენთა ახალი კადრების აღზრდისათვის. საჭიროა მხოლოდ ამ შესაძლებლობის მთლიანად გამოყენება.

პ. სახოკიძე
(ჩვენი საკ. კორ.).

ბათუმი.



ამას წინათ ახალი რესპუბლიკური რეკორდი 125 კბ სმ-მდე კლასის მოტოციკლისათვის დაამყარა ნიჭიერმა ახალგაზრდა სპორტსმენმა კ. ცალქალამანიძემ (თბილისი). საგზატკეცილო მარულაში მან 1 კილომეტრი ადგილიდან დაჰფარა 44,9 წამში. სურათზე: კ. ცალქალამანიძე დისტანციაზე.

ფოტო კ. კრიმსკისა

## რესპუბლიკურ კომიტეტში

### ყვარლის რაიონის სკოლებში ფიზიკური აღზრდის სწავლების შესახებ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი ყვარლის რაიონის სკოლებში ფიზიკური აღზრდის სწავლებისა და სპორტული მუშაობის შესახებ.

გამოირკვა, რომ რაიონის რვაწლიან და საშუალო სკოლებში ფიზიკური აღზრდის სწავლება და სპორტული მუშაობა არ დგას მოწოდების სიმაღლეზე. რაიონის განათლების განყოფილება სათანადოდ არ უწევს ხელმძღვანელობას, არ ახორციელებს კონტროლს რაიონის სკოლებზე ფიზიკური აღზრდის სწავლებისადმი. ან რა ხელმძღვანელობაზე შეიძლება ლაპარაკი მაშინ, როდესაც განათლების მუშაკებს ჯერ კიდევ არ განუხილავთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება, რომელიც ეხებოდა სკოლებში, პედსასწავლებლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საქმის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

რაიონის სკოლებში მომუშავე ფიზიკური აღზრდის 17 მასწავლებლიდან სპეციალური ფიზკულტურული განათლება მხოლოდ 9 კაცს აქვს. სკოლების უმრავლესობაში არავითარი პირობა არაა შექმნილი მეცადინეობის ნორმალურად ჩატარებისათვის, არ არის გამოყოფილი სამეცადინო ოთახები, მოუწყობელია სპორტული მოედნები, სკოლებს არ გააჩნიათ აუცილებელი ინვენტარი.

ფიზიკური აღზრდის გაკვეთილები სკოლებში უხარისხოდ ტარდება, პროგრამით გათვალისწინებულ მასალას გადიან არასრული მოცულობით. ხშირად გაკვეთილები ტარდება ერთფეროვნად, მოსწავლეთა ასაკისა და სქესის თავისებურებათა გაუთვალისწინებლად.

დაბალ დონეზე დგას სკოლებში აგრეთვე მასობრივი სპორტული მუშაობა. გასულ წელს რაიონის სკოლებში არ მომზადებულა არც ერთი სპორტსმენი თანრიგოსანი.

ყვარლის რაიონის სკოლებში ფიზიკური აღზრდის სწავლების გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკურმა კომიტეტმა დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები. განათლების განყოფილებამ უნდა განიხილოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანება და დასახული ღონისძიებანი დაიყვანოს თვითეულ სკოლამდე. 1950-1951 სასწავლო წლის დასაწყისისათვის დააკომპლექტოს სკოლები ფიზკულტურული განათლების მქონე პედაგოგებით, უზრუნველჰყოს ყველა სკოლაში ფიზიკური აღზრდის მეცადინეობისა და სპორტული მუშაობის ჩასატარებლად შესაფერისი ოთახების გამოყოფა და სხვ.

ყვარლის რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ა. ხუხიაშვილს დაევალა მეტი ყურადღება მიაქციოს და სისტემატურად შეამოწმოს სასკოლო ძირეული ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოების მუშაობა და აღმოუჩინოს მათ ქმედითი დახმარება.

## კოლმეურნე ქალოსნები გამოვიდნენ საასპარეზოდ

**ბათუმი.** (ჩვენი საკ. კორ.). ჩატარდა სოფლის ძალოსანთა კონკურსი აჭარის პირველობაზე. ერთმანეთს შეეჯიბრნენ სამი რაიონის—ბათუმის, ქობულეთისა და ქედის წარმომადგენლები.

გუნდური პირველობა მოიპოვა ქობულეთის კოლექტივმა, მეორე ადგილი მიეკუთვნათ ბათუმის რაიონის ძალოსნებს. მჩატე წონაში გამარჯვებული გამოვიდა გ. თავართქილაძე (ქობულეთის რაიონი), მსუბუქ წონაში—ს. ვარშანიძე (ბათუმის რაიონი), საშუალოში — ს. იორდანიდი (ქობულეთი), მძიმე წონაში—ხ. ყურშუბაძე (ბათუმის რაიონი).

შერჩეულ იქნა აჭარის ასსრ ძალოსანთა კოლექტივი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ძალოსანთა კონკურსში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ხულოს რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა (თავმჯდომარე ნ. ბოლქვაძე) ვერ უზრუნველყო რაიონის გუნდის მონაწილეობა ძალოსანთა კონკურსში.

* * *

**სტალინირი.** (ჩვენი კორ.). ამ დღეებში ჩატარდა კოლმეურნე ძალოსანთა პირველი საოლქო კონკურსი, რომელშიც ოთხი რაიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

გუნდური პირველობა მოიპოვა ჯავის რაიონის ძალოსანთა კოლექტივმა, მეორე ადგილზე გამოვიდა ლენინგორის რაიონის გუნდი.

თავიანთ წონითს კატეგორიებში გაიმარჯვეს ე. ხოცუაშვილმა (ლენინგორი), ს. გაბარაევმა (ზნაური), ე. თედეევმა (სტალინირის რაიონი), ა. ვალგასოვმა (ლენინგორი).

ოლქის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მიენიჭა ე. თედეევს.

**ნ. ზაღიშვილი**

## აჭარის მეთხილამურეთა შეჯიბრება

**ხულო.** (ჩვენი საკ. კორ.). მარტის შუა რიცხვებში ჩატარდა შეჯიბრება აჭარის პირველობაზე სათხილამურო სპორტში. მონაწილეობდნენ ქ. ბათუმის, ბათუმისა და ხულოს რაიონების ხუთი გუნდი.

მწვავე ბრძოლების შემდეგ დამსახურებული გამარჯვება ხვდა ხულოს რაიონის ნაკრებ გუნდს (ჯ. ცეცხლაძე, რ. ირემაძე, რ. ადაძე, ა. დავლაძე, შ. ფენაძე).

გამარჯვებულებს გადაეცათ აჭარის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის სიგელები.

## მოსწავლეები — ტანვარჯიშულ იარაღებზე

სასკოლო ორდადეგებთან დაკავშირებით სიღნაღში ჩატარდა მოსწავლეთა რაიონული შეჯიბრება ტანვარჯიშში. გამარჯვება ხვდათ სიღნაღის ვაჟთა საშუალო სკოლისა და დაბა წნორის ქალთა სკოლის გუნდებს.

პირადი პირველი ადგილი ჭაბუკთა შორის მოიპოვა სიღნაღის ვაჟთა საშუალო სკოლის მოსწავლემ ვ. დონჯაშვილმა, გოგონებს შორის—სიღნაღის ქალთა სკოლის მოსწავლემ ლ. ხპალაძემ.

**ვ. ასლამაზოვი**

სიღნაღი.

# ჭადრაკი — საქართველოს XI ჩემპიონატი

### მეექვსე ტური

მეექვსე ტურში, რომელიც შედგა 23 მარტს, ყველაზე ადრე დამთავრდა კირკიტაძისა და გაგუას შეხვედრა. კირკიტაძემ პარტიის დასაწყისშივე დაუშვა უხეში შეცდომა, რის შედეგად წააგო ფიგურა და დასთმო პარტია.

უყურადღებო თამაშის მსხვერპლი გახდა აგრეთვე ოსტატობის კანდიდატი ქარსელაძე, რომელიც ეთამაშებოდა არნშტეინს. თანასწორ მდგომარეობაში მან უდროოდ გააკეთა როქი, არნშტეინმა ფიგურის დროებითი შეწირვით შექმნა პაიკის მოგების მუქარა, ქარსელაძემ თამაშის უმართებულო გეგმა აირჩია, წააგო ხარისხი, პაიკი და მალე პარტიაც.

ოსტატობის კანდიდატმა მალაშხიამ სუსტად გაითამაშა დებიუტი ოსტატობის კანდიდატ გიორგაძის წინააღმდეგ და თავიდანვე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. გიორგაძემ ენერგიული თამაშით გამარჯვება მოიპოვა. რთული

* * *

### ტურნირის ყველაზე უხუცესი მონაწილე

**მეგობრული შარჟი**

ნახატი მ. ვადბოლსკისა




* * *

და მწვავე ბრძოლის შემდეგ ბლაგიძემ მოუგო არზუმანიანს.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

### მეშვიდე ტური

მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო ოსტატობის კანდიდატის შიშოვისა და არნშტეინის პარტია. უკანასკნელმა რამდენადმე თავისებურად გაითამაშა დებიუტი, რითაც მხოლოდ პასიურ პოზიციას მიაღწია. შიშოვმა ენერგიული თამაშით ცენტრსა და მეფის ფრთაზე შექმნა მოწინააღმდეგის მეფის დაშამათების მუქარა. ერთხანს არნშტეინმა თითქოს შეძლო მდგომარეობის გათანაბრება, პაიკიც კი მოიგო, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი აღმოჩნდა. შიშოვმა ფიგურის დროებითი შეწირვით სასტიკი იერიში განავითარა, გაარღვია მეფის პოზიცია და აიძულა არნშტეინი დანებებულიყო.

ოსტატობის კანდიდატმა ბლაგიძემ ადვილად დაამარცხა მორჩილაძე, რომელმაც ძალზე სუსტად გაითამაშა კარო-კანის დაცვა. ტურნირში პირველი გამარჯვება მოიპოვა ტიმოფეევმა. მან ძლიერად ჩაატარა თავისი შეხვედრა არზუმანიანთან და დამსახურებულად მოიგო პარტია.

ფრუიძე-გაგუას და სოროკინ-კრიხელის პარტიები ყაიმით დასრულდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

### მერვე ტური

პირველ გამარჯვებას მიაღწია კირკიტაძემ, რომელმაც დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაამარცხა აღამალიანი.

სოროკინმა მოუგო გაგუას. ფრუიძე-გიორგაძის შეხვედრა დამთავრდა გიორგაძის გამარჯვებით.

ინწკირველმა დაამარცხა არნშტეინი, კრიხელმა—არზუმანიანი.

რთული და მწვავე იყო ბუსლაევ-შიშოვის შეხვედრა. მოწინააღმდეგენი დიდხანს აწარმოებდნენ მანევრირებას. ბუსლაევი, როგორც მას სჩვევია, ჩავარდა ცაიტნოტში—12 სვლაზე მხოლოდ 3 წუთი დარჩა. მან დაუშვა უხეში შეცდომა, წააგო ეტლი და დანებდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

### გადადებული პარტიების დამთავრება

26 მარტს შედგა გადადებული პარტიების დამთავრება.

ტიმოფეევი პარტიების განუახლებლად დანებდა სოროკინს და ბლაგიძეს. ასევე მორჩილაძემ დამარცხებულად სცნო თავი გერშკოვიჩთან.

ალამალიანმა მოუგო მალაშხიას და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბუსლაევთან, ქარსელაძე-ბუსლაევის პარტია ყაიმით დასრულდა. ყაიმით დასრულდა აგრეთვე ფრუიძე-კრიხელის შეხვედრა, სადაც უკანასკნელმა ხელიდან გაუშვა ნაღდი მოგება. მწვავე ბრძოლის შემდეგ შიშოვმა დაამარცხა გერშკოვიჩი. კირკიტაძემ წააგო გიორგაძესთან.

ტურნირში პირველ გამარჯვებას მიაღწია მორჩილაძემ. მან დაამარცხა ინწკირველი.

### მეცხრე ტური

ჩემპიონატისადმი ინტერესი დღითი დღე იზრდება. საჭადრაკო კლუბის დარბაზი ველარ იტევს მაყურებლებს.

მეცხრე ტურში მწვავე იერიშების მოგერიება მოუხდათ შეჯიბრების ლიდერებს. შიშოვმა მართალია, თამაშის დაწყებიდანვე მალაშხიას წინააღმდეგ რამდენადმე თავისუფალი მდგომარეობა მიიღო, მაგრამ ვერ მოახერხა მისი რეალიზაცია. მალაშხია თამაშობდა ფრთხილად და ზუსტად და მათი პარტია ყაიმით დასრულდა. სოროკინმა გიორგაძის წინააღმდეგ შავებით ფრანგულ პარტიაში აირჩია ე. წ. ლენინგრადის ვარიანტი. შუა თამაშში მისი ერთი უმართებულო სვლის შედეგად ინიციატივა მთლიანად გიორგაძის ხელში გადავიდა, რის შემდეგ სოროკინი უნდა დამარცხებულიყო, მაგრამ გიორგაძემ ვერ გამონახა მოგების სწორი გზა. მალე სოროკინი კვლავ შეცდა, წააგო ხარისხი და პაიკი. პარტია გადაიდო გიორგაძისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

მწვავე და დაძაბული იყო კრიხელისა და ბლაგიძის შეხვედრა, რომელიც ამ დღეს არ დამთავრებულა. გადადებულ მდგომარეობაში ბლაგიძეს აქვს ზედმეტი პაიკი.

ალამალიანმა მოუგო ფრუიძეს, კირკიტაძემ—ქარსელაძეს, ტიმოფეევმა—მორჩილაძეს და გაგუამ—არზუმანიანს.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

### მეათე ტური

ბლაგიძემ ენერგიული თამაშით ჯეროვნად გამოიყენა გაგუას მიერ შუა თამაშში დაშვებული შეცდომები და გაიმარჯვა. მწვავე ბრძოლის შემდეგ სოროკინმა დაამარცხა ალამალიანი. ბუსლაევმა მოუგო გერშკოვიჩს. არზუმანიან-გიორგაძის და ინწკირველ-მალაშხიას პარტიები ყაიმით დასრულდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

29 მარტს შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. მორჩილაძე და ფრუიძე პარტიების განუახლებლივ დანებდნენ არნშტეინს და ალამალიანს. კირკიტაძე-შიშოვის პარტია ყაიმით დამთავრდა. გერშკოვიჩმა მოუგო არნშტეინს. პირველი დამარცხება განიცადა ტურნირის ლიდერმა ბლაგიძემ, რომელმაც რთულ პოზიციაში კრიხელის წინააღმდეგ უგულებელყო უკანასკნელის ფიგურების აქტიური განლაგება, სწორად არ აწარმოვა თავდაცვა, კონტრიერიში და წააგო.

სრულიად მოულოდნელი შედეგით დამთავრდა გიორგაძის და სოროკინის პარტია. პირველს გადადებულ პარტიაში მოსაგები პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ამის მიღწევა ჯერ კიდევ ზუსტ თამაშს მოითხოვდა. გიორგაძემ მდგომარეობის გამარტივებით შეძლო ორი პაიკის მოგება. მაგრამ შემდგომში უყურადღებო სვლით იგი ჰკარგავს ერთ პაიკს, შემდეგ ეტლით აკეთებს უხეშ შეცდომას და მარცხდება. კრიხელის და ტიმოფეევის პარტია ყაიმით დასრულდა.

მეათე ტურის შემდეგ შეჯიბრებაზე მდგომარეობა ასეთია: ოსტატობის კანდიდატი სოროკინი — 8½ ქულა, ოსტატობის კანდიდატები — ბლაგიძე და შიშოვი—8-8 ქულა, ალამალიანი—6, ოსტატობის კანდიდატი გერშკოვიჩი და კრიხელი —6-6, გაგუა—5, ოსტატობის კანდიდატი ბუსლაევი, არნშტეინი და გიორგაძე—5-5, კირკიტაძე—4, ოსტატობის კანდიდატი ქარსელაძე და ფრუიძე—4-4, ოსტატობის კანდიდატი მალაშხია, ინწკირველი და ტიმოფეევი — 3-3, არზუმანიანი — 2, მორჩილაძე — 1 ქულა. დღეს გათამაშდება მორიგი მეთერთმეტე ტური.

* * *

### ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე

**მეგობრული შარჟი**

ნახატი მ. ვადბოლსკისა




## მეორე რესპუბლიკური კონკურსის შედეგები კომპოზიციაში

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ჩაატარა მეორე რესპუბლიკური კონკურსი საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაზე.

მეორე კონკურსი პირველთან შედარებით უფრო ძლიერი აღმოჩნდა ხარისხობრივი მაჩვენებლებით. წარმოდგენილი 64 კომპოზიციიდან შერჩეულ იქნა 25 საუკეთესო.

მეორე კონკურსში აღსანიშნავია სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტის ი. კრიხელის წარმატება, რომელმაც ორ და სამსვლიან ამოცანებში პირველი და მეორე პრიზები მიიღო. კრიხელის ამოცანები მდიდარია სტრატეგიული მომენტებით და ცნობილი იდეების ორიგინალური მოდიფიკაციით.

მესამე პრიზი ორსვლიან ამოცანებში მოიპოვა ასტრონომიის ლექტორმა მ. იმნაძემ. მას კარგი მონაცემები აქვს საჭადრაკო კომპოზიციაში, მაგრამ ბოლო წლებში თითქმის ახალს არაფერს იძლევა.

მესამე პრიზი სამსვლიან ამოცანებში მიიღო ა. დობორჯგინიძემ (ბორჯომი). დობორჯგინიძე პირველი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორია (ამოცანების შედგენაში), რომლიდანაც, შეიძლება ითქვას, იწყება ეს ახალი საჭადრაკო ხელოვნება საქართველოში. დობორჯგინიძეს არა ერთხელ აქვს მოპოვებული საპრიზო ადგილები საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებზე. მისი დღევანდელი შედეგები ნაკლებად მისასალმებელია, რადგანაც მას შეეძლო გაცილებით ძლიერი ნაწარმოებებით გამოსვლა.

საეტიუდო კომპოზიციაში I და II პრიზები აღებული იქნა ჩემს მიერ.

ამოცანებში საპატიო შეფასება მიიღეს ექიმმა გ. ჭავჭანიძემ, მოსწავლეებმა ი. შოსტიმ (ცხაკაია), გ. ჯავახიამ (თბილისი).

უნდა აღინიშნოს, როგორც ნაკლი, რომ კონკურსში მონაწილეობას არ ღებულობდა ერთ-ერთი წამყვანი ქართველი პრობლემისტი ო. ტაბიძე (ქუთაისი).

კონკურსს სჯიდნენ ოსტატობის კანდიდატი ა. ფირცხალავა (მთავარი მსაჯი), ოსტატობის კანდიდატი ვ. ქარსელაძე და ი. ლოლუა.

კარგი იქნება, თუ რესპუბლიკის გაზეთები თავიანთ ფურცლებზე პერიოდულად მოათავსებენ საჭადრაკო ამოცანებს და ეტიუდებს, რაც ხელს შეუწყობს ჭადრაკის ამ საინტერესო სახის პოპულარიზაციას.

**გ. ნადარეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენიშვნები მაგიდის ჩოგბურთის შესახებ

მეტად საინტერესო თამაშია მაგიდის ჩოგბურთი; იგი ჩვეულებრივი ჩოგბურთის გამარტივებულ სახეს წარმოადგენს.

მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ გამოიყენება ჩვეულებრივი მაგიდა ან დაფა; 2 მცირე ჩოგანი, მცირე ბადე, რომელიც მაგიდაზე მაგრდება და ცელულოიდის პატარა ბურთი. თამაშის წესები ისეთივეა, როგორიც ჩოგბურთის თამაშის დროს.

მართალია, ერთის შეხედვით, მაგიდის ჩოგბურთის თამაში იოლია, მაგრამ მისი ახლო გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ მაგიდის ჩოგბურთი მოთამაშისაგან მოითხოვს ენერგიისა და ყურადღების მთლიან დაძაბვას, ჩქარი რეაქციის გამომუშავებას და სისწრაფეს, ტანისა და ხელის ზუსტ და მიზანშეწონილ მოძრაობას.

მაგიდის ჩოგბურთი პირველად 1926 წელს გამოჩნდა მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, კიევსა და ოდესაში, შემდეგ თბილისშიც. დაიწყო შეჯიბრებები კლუბების, ორგანიზაციებისა და ქალაქების პირველობაზე, ეწყობოდა საქალაქთაშორისო შეხვედრებიც, მაგრამ... როგორც გამოჩნდა, ისევე უცბად გაქრა იგი სპორტული ცხოვრების ჰორიზონტიდან.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მაგიდის ჩოგბურთისადმი ინტერესი ხელახლა გაცხოველდა და მან გაცილებით უფრო სწრაფად დაიწყო განვითარება, ვიდრე 15-20 წლის წინათ. ხელი მიჰყვეს ამ თამაშს ახალგაზრდებმა, მათ არ ჩამორჩნენ მოხუცებიც. მაგალითად, თბილისში მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა საკუთარი ინიციატივით მოაწყეს სპეციალური მაგიდები კლუბებში, სასპორტო დარბაზებში და ყველგან, სადაც კი შეიძლება მოთავსდეს სწორკუთხოვანი დაფა ზომით 2,74 მ.×1,52 მ.

ასეთი მაგიდა მოეწყო ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში, სახელმწიფო კონსერვატორიაში, სამშენებლო საქმეთა ინსტიტუტში, ტრამვაი-ტროლეიბუსის პარკში, ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე და სხვ.

წარმატებით ჩატარდა შეჯიბრება ჰიდროენერგოპროექტისა და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდებს შორის, მოეწყო შეჯიბრება ჰიდროენერგოპროექტის პირველობაზე და სხვ.

საჭიროა კიდევ უფრო მეტად შევუწყოთ ხელი მაგიდის ჩოგბურთის ფართო გავრცელებას ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებშიც. საჭიროა სპორტულ მაღაზიებში საკმაოდ იშოვებოდეს ცელულოიდის ბურთები, რომელნიც ხშირად იმტვრევა და ჯერჯერობით ძნელდება მათი შოვნა.

**უნივერსიტეტის სტუდენტები ნ. გუგუშვილი, ზ. კაკაბაძე; ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი ო. სოლომონია; სამშენებლო საქმეთა ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი მუშაკი თ. ვაჩნაძე; კონსერვატორიის სტუდენტი ნ. ჯაფარიძე; ჰიდროენერგოპროექტის ინჟინერი ლ. ჯაყელი.**

# გამოქვეყნებული წერილების კვალდაკვალ

## „ზამთარს მოუმზადებლად შეხვდნენ"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო, რომ ბათუმისა და ბათუმის რაიონის ზოგიერთ სკოლაში არ არის გამოყოფილი სპორტული მუშაობისათვის აუცილებელი შენობები და ფიზკულტურის გაკვეთილები საკლასო ოთახებში ტარდება.

როგორც აჭარის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე ამხ. ვ. შარაშიძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს კოლეგიაზე და დაისახა ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

# აღვზარდოთ ჯანსაღი ახალგაზრდობა

**გ. ფოფხაძე,**
**საქართველოს კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივანი.**

ხაშურის რაიონში ღრმად და ფართოვდება ფიზკულტურული მოძრაობა. საკმარისია ითქვას, რომ რაიონში არსებულ 120-ზე მეტ ფიზკულტურულ კოლექტივში გაერთიანებულია 5.850-მდე ახალგაზრდა. მათს განკარგულებაშია ფეხბურთის ერთი სტადიონი და 9 მინდორი, კალათბურთის 13, ფრენბურთის 23 მოედანი და სხვა სპორტული ბაზები.

რაიონის ფიზკულტურული ახალგაზრდობა უხვი მოსავლისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებშია. სოფელ ალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ა. ნოზაძე სამამულო ომამდე ცნობილი იყო, როგორც საუკეთესო მძლეოსანი. ომის დროს მან ბრძოლით გაიარა ჩრდილოეთ კავკასია, დონბასი, ვარშავა და შევიდა ბერლინში. ამჟამად ნოზაძე ჭარხლის უხვი მოსავლის ოსტატია. შარშან მან ჰექტარზე 300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მიიღო.

კოლმეურნე მძლეოსანმა ვალდებულება იკისრა წელს ჰექტარზე 1.000 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანოს. ამხ. ნოზაძე კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის ხელმძღვანელია. აქ კარგად მუშაობენ მოჭიდავეთა და ძალოსანთა წრეები, რომლებშიც 100-მდე კოლმეურნეა ჩაბმული.

განსაკუთრებული წარმატებები მოიპოვეს რაიონის ფიზკულტურულმა კოლექტივებმა გასულ წელს. აქ შარშან მომზადდა მშთ I საფეხურზე 886, ხოლო II საფეხურზე—49 კაცი. რაიონში ჩამოყალიბდა 40 ახალი ფიზკულტურული კოლექტივი.

კარგად მუშაობენ საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივები სურამში, ოსიაურში, ქვიშხეთში და სხვ.

გასულ წელს მთელ რიგ წარმატებებს მიაღწია რაიონის ფეხბურთელთა გუნდმა. იგი საქართველოს თასის გათამაშების ფინალში გავიდა.

ახალი სასწავლო წლიდან ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა ფიზკულტურის პედაგოგიური სასწავლებელი. იგი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. რაიონში 1938 წლიდან მუშაობს სპორტსკოლა, რომელმაც გამოზარდა ასობით ახალგაზრდა კადრები.

ამას წინათ პარტიის რაიკომის მითითებით მოეწყო ათდღიანი სემინარი ფიზკულტურული კოლექტივების საზოგადო ინსტრუქტორებისათვის, რომელიც გაიარა 21 კაცმა.

რაიონის ფიზკულტურელებმა მოაწყეს სპორტული საღამოები, შეჯიბრებები, ქვეითად გადასვლები და სხვ.

წელს ფიზკულტურული კოლექტივები მოამზადებენ მშთ I საფეხურის 383 და II საფეხურის 123 ნიშნოსანს, პირველი თანრიგის 5, ხოლო მეორე თანრიგის 25 სპორტსმენს.

რაიონის პარტიული ორგანიზაცია რეგულარულად იხილავს ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის დეკემბრის დადგენილება ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე ჩვენგან მოითხოვს მეტ მუშაობას ჯანმრთელი, სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობის — კომუნიზმის მშენებელთა აქტიურ მონაწილეთა აღზრდისათვის.



ქუთაისში გაზაფხულის ამინდიან სასპორტო მოედნებზე გამოვიდნენ ფაბრიკა-ქარხნების, პედინსტიტუტის, ტექნიკუმებისა და საშუალო სკოლების ფიზკულტურელები.

**სურათზე:** ნორჩი მძლეოსანი ნათელა ალხაზიშვილი სიმაღლეზე ხტომის მომენტში.

ფოტო პ. ლუცენკოსი

# დაპირებებით ანუგეშებს...

გასული წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიის რკინიგზის ბორჯომის კვანძის ალკკ კომიტეტმა კვანძის მუშა-ახალგაზრდობის დახმარებით მუშათა კლუბთან მოაწყო სპორტული დარბაზი, შექმნა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ლოკომოტივის" ძირეული ორგანიზაცია, რომელშიც 60 კაცი გაერთიანდა, აირჩია კვანძის სპორტული კომიტეტი, ჩამოაყალიბა სპორტული სექციები და გაჩაღა მუშაობა.

ბორჯომელ რკინიგზელებს უყვართ სპორტი. მიუხედავათ მათი ენთუზიაზმისა და მონდომებისა ფიზკულტურული მუშაობის წინსვლას ხელს უშლის სპორტული ინვენტარის უქონლობა.

სპორტსმენებმა დახმარებისათვის მიმართეს ამიერკავკასიის რკინიგზის სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" ცენტრალურ საბჭოს, რომელიც უკვე ერთი წელია დაპირებებით ანუგეშებს სპორტულ მუშაობას მოწყურებულ ახალგაზრდობას.

დროა ბოლო მოეღოს მუშა ახალგაზრდობის ფიზიკურად განვითარებისადმი ასეთ უგულგულო დამოკიდებულებას.

**ო. გელაშვილი**

**ბორჯომი.**

# საჭიდაო ხალიჩაზე

ამას წინათ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა სახელმწიფო უნივერსიტეტის სასპორტო დარბაზში ჩაატარა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში.

თავიანთ წონით კატეგორიებში გამარჯვებული გამოვიდნენ—შ. გოგიაშვილი (საფეიქრო ტექნიკუმი), ქ. ვეშაგური (ტოპოგრაფიული ტექნიკუმი), ა. ფილიშვილი (სახელმწიფო უნივერსიტეტი), ვ. დუჩიძე (ზოოვეტერინალური ინსტიტუტი), რ. მათიკაშვილი, ს. მაისურაძე, გ. გოგიაშვილი (სახელმწიფო უნივერსიტეტი), გ. ბართიშვილი (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი).

# ჩოგბურთის დახურულ კორტებზე

## გაიმარჯვეს ნ. ოზეროვმა და გ. კოროვინამ

**მოსკოვი.** (ჩვენი კორ.). „დინამოს" საზამთრო საჩოგბურთო კორტებზე დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის, უჟგოროდის, ტალინის, რიგის და კაუნასის უძლიერესი ჩოგბურთელები.

მამაკაცთა ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოველები ე. კორბუტი და ნ. ოზეროვი. დაძაბული და სპორტულად საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ნ. ოზეროვის გამარჯვებით. მეორე ნახევარფინალურ მატჩში თამაშობდნენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ე. ნეგრებეცკი და მ. კორჩაგინი. გაიმარჯვა ე. ნეგრებეცკიმ.

ფინალურ შეხვედრაში ოზეროვმა დაამარცხა ნეგრებეცკი და დაიკავა პირველი ადგილი.

ქალთა ნახევარფინალში ნ. ლეომ დაამარცხა ტ. ნალიმოვა, გ. კოროვინამ—გ. კონდრატიევა. ფინალში გაიმარჯვა გ. კოროვინამ.

წყვილთა საფინალო შეჯიბრებაში ოზეროვმა და ანდრეევმა ადვილად დაამარცხეს კორბუტი და ნეგრებეცკი.

შერეულ წყვილთა ფინალში გაიმარჯვა ნალიმოვამ და ნეგრებეცკიმ.

# 4 ქალაქის მატჩი ტანვარჯიშში

**ბათუმი.** (ჩვენი საკ. კორ.). 25-26 მარტს ბავშვთა სპორტული სკოლის დარბაზში ჩატარდა ოთხი ქალაქის—ბათუმის, სოხუმის, ქუთაისისა და ფოთის ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება, რომელშიც 40 სპორტსმენი მონაწილეობდა.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება ხვდათ ქუთაისის წარმომადგენლებს, რომლებმაც მოაგროვეს 1.127,09 ქულა. მეორე ადგილი დაიკავა ბათუმის გუნდმა (727,04 ქულა).

შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებს მიაღწია ქუთაისელმა პირველთანრიგოსანმა ვ. გურსკიმ. მან შეაგროვა 101,45 ქულა, რითაც შეასრულა ოსტატის ნორმა. მეორე ადგილზე გამოვიდა სპორტის ოსტატი ა. ალფაიძე.

ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ბათუმელმა სპორტის ოსტატმა ა. გაბრიაძემ.

პირველთანრიგოსნებს შორის გამარჯვება ხვდა სოხუმელ ვ. ცვეტკოვს, ქალთა შორის—ქუთაისელ ჟ. დარსაველიძეს.

ცალკეულ იარაღებზე კარგი შედეგები მოიპოვეს ა. ალფაიძემ, შ. ჩაჩხიანმა, ვ. გურსკიმ და სხვ.

გამარჯვებულ გუნდებს და ტანმოვარჯიშეებს გადაეცათ საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის სიგელები.

მაღალნაყოფიერად იმუშავა მსაჯთა კოლეგიამ გ. ჭილაიას ხელმძღვანელობით.

# დედაქალაქის სტადიონებსა და დარბაზებში

**26 მარტს ჩვენი დედაქალაქის სპორტულმა ორგანიზაციებმა საზეიმო ვითარებაში გახსნეს ახალი სპორტული სეზონი.**

## უმაღლეს სასწავლებლებში

დილიდანვე კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დარბაზში გრძელდებოდა დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების შეჯიბრება პირად-გუნდურ პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში.

ფიზკულტურის ინსტიტუტის მოჭიდავენი (მწვრთნელი მ. თიკანაძე) სხვებზე მომზადებული აღმოჩნდნენ. მათ მოიპოვეს გუნდური პირველობა, ამასთანავე კოლექტივის ხუთმა წევრმა: მკრტიჩიანმა, მაისურაძემ, დენტოშვილმა, კარტოზიამ და საქუაშვილმა თავიანთ წონით კატეგორიებში გამარჯვებას მიაღწიეს.

დანარჩენ წონით კატეგორიებში პირველობა დარჩათ სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ლუდუშაურს და ბარლიანს. ერთი პირველი ადგილი მოიგო ინდუსტრიული ინსტიტუტის წარმომადგენელმა კვაჭაძემ.

* * *

ამ დღეს ოფიცერთა სახლის საზაფხულო ბაღში დაიწყო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ძალოსანთა შეჯიბრება 1950 წლის პირველობაზე.

## ნორჩ ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება

600-მდე ჭაბუკმა და გოგონამ მიიღო მონაწილეობა დედაქალაქის სკოლების მოსწავლეთა პირველობაზე ტანვარჯიშში.

ჭაბუკთა შორის აბსოლუტური პირველი ადგილი მოიპოვა თბილისის ვაჟთა პირველი სკოლის XI კლასის მოსწავლემ გ. ბეჟანიშვილმა. გოგონებს შორის პირველობა დარჩა ვ. კლიმოვას (მე-4 სკოლა), გუნდური პირველობა მოიპოვეს ქალთა შორის მე-19 სკოლის მოსწავლეებმა (მწვრთნელი პაპაშვილი) და ვაჟთა შორის მე-20 სკოლის მოსწავლეებმა (მწვრთნელი ზურაბოვი).

## მოჭიდავენი — ლენინის რაიონში

„ლოკომოტივის" დარბაზში ჩატარდა შეჯიბრება თბილისის პირად პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 50-ზე მეტი საუკეთესო მოჭიდავე.

* * *

ამავე დღეს შეჯიბრებები ტარდებოდა დედაქალაქის პირველობაზე ფრენბურთში (მეორე ჯგუფი) „დინამოს" სახელობის სპორტულ დარბაზში. საღამოს დედაქალაქის სპორტული საზოგადოება თვალყურს ადევნებდა რესპუბლიკის საუკეთესო მოჭადრაკეთა ბრძოლას 1950 წლის პირველობაზე.

გაზაფხულის პირველი სპორტული დღე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ჩინებულად ჩატარდა. რამდენიმე ასეული სპორტსმენის შებმას დიდი სიყვარულითა და ინტერესით ადევნებდა თვალყურს რამდენიმე ათასი მაყურებელი.

* * *

**სურათებზე:** ქალაქის ჩემპიონები მოსწავლეთა შორის—მარცხნივ—ვ. კლიმოვა, ქვემოთ—გ. ბეჟანიშვილი.

ფოტო კ. ყუფარაძისა.





ეროვნული ბიბლიოთეკა



ლესელიძეში (გაგრის რაიონი) წინასასეზონო საწვრთნელი ვარჯიში დაამთავრა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა, რომელიც დღეს ჩამოდის რესპუბლიკის დედაქალაქში. სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. სოკოლოვის ხელმძღვანელობით გუნდმა სერიოზული მუშაობა ჩაატარა. იგი კარგად მოემზადა მომავალ ჩემპიონატისათვის. **სურათზე:** სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე (ცენტრში) მორიგი ვარჯიშის შემდეგ ესაუბრება გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებს ი. მეტრეველს (მარცხნივ) და ნ. გოგლიძეს.

ფოტო ნ. კოროტკოვისა და გ. კვირკველიასი

# ე. ბიკოვა — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ჭადრაკში

რიგაში დამთავრდა ქალთა საჭადრაკო ტურნირი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. ჩვენი ქვეყნის ჩამპიონის წოდება მოიპოვა მოსკოველმა ე. ბიკოვამ, რომელმაც 15 შესაძლებლიდან დააგროვა 12 ქულა. აღსანიშნავია, რომ ე. ბიკოვამ დაუმარცხებლად ჩაატარა ტურნირი — 10 შეხვედრა მოიგო და 5 ფრედ დაამთავრა.

მეორე ადგილზეა ლენინგრადელი ბელოვა — 11 ქულა, მესამე ადგილი დარჩა ლენინგრადელ ზვორიკინას, მეოთხე და მეხუთე ადგილი გაიყვეს ვაისბერგმა (კიევი) და ვახტელმა (ორეხოვო-ზუევო), მეექვსე და მეშვიდე ადგილი—ბიგლოვამ და სემიონოვამ.

# საკავშირო რეკორდი

მოსკოვში ამას წინათ ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. კრიუკოვმა. მან ზურგით 200 მეტრი 2 წუთსა და 30,6 წამში გაცურა.



თბილისელი სპორტის ოსტატი ვასილ ილურიძე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს მოჭიდავეთ ითვლება. გასულ წელს ბუდაპეშტის სტუდენტთა საერთაშორისო თამაშობებში მან ჩემპიონის წოდება მოიპოვა თავის წონითს კატეგორიაში. **სურათზე:** ვ. ილურიძე.

## ფეხბურთის მატჩები

### ბათუმი

**ბათუმი.** (ჩვენი საკ. კორ.). 22 მარტს „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა ბაქოს „ნეფტიანიკის“ და ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

ბაქოელებმა გამოავლინეს შეწყობილი და მოფიქრებული თამაში და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 5:1.

### სოხუმი

**სოხუმი.** (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). ქალაქის სტადიონზე შეხვდნენ ცდკას (მოსკოვი) და თბილისის „სპარტაკის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების ძირითადი შემადგენლობები.

მეტად მწვავე და საინტერესო ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 2:2.

## უცხოეთის ფოსტიდან

# ცრუპენტელების ტურნირი

ხალხის სიბრძნით ძველთაგანვე დადგენილია, რომ ადამიანმა არ უნდა იცრუოს. ტყუილი წესიერად აღზრდილ ადამიანთა შორის მიუღებელი და დასაგმობი ჩვევაა. ჩვენმა ახალგაზრდობამ მშვენივრად იცის, რომ „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორსსა, მერე სულსა“...

ეს ხალასი ჭეშმარიტება ასე როდი ესმით „ყვითელი ეშმაკისა“ და დოლარის ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში.

განგსტერული ლიტერატურის ფართოდ გავრცელებასთან ერთად, ამჟამად იქ სპორტულ სამოსში ახვევენ სიცრუეს — ძველთაგანვე დაგმობილ ჩვევას.

ეტყობა, ამერიკელი ბიზნესმენები ჩემპიონის დაფნის გვირგვინსაც მალე დაადგამენ მატყუარას, რომელმაც ყველაზე მეტი სიცრუე წამოროშა!

ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს არსებობა ცრუპენტელების ამერიკული კლუბისა, რომლის დამკვიდრებიდან ახლახან ოცი წელი შესრულდა.

ახალგაზრდობის სულიერი სიმახინჯით აღზრდა, ფული და შემოსავალი — აი, რა აინტერესებთ ბურჟუაზიული სპორტის საქმოსნებს, როცა ისინი ასპარეზობას მართავენ.

სიცრუესა და ცრუპენტელობას რომ სპორტის ერთ-ერთ „წამყვან“ სახედ ხატავენ, ამას ნათლად ადასტურებს ზემოხსენებული კლუბის იუბილესთან დაკავშირებით ჩატარებული შეჯიბრება, რომელიც „ტყუილის მოყვარულთა საერთაშორისო ტურნირის“ იარლიყით წარმოადგინეს.

ასპარეზობის გახსნისას ცრუპენტელების კლუბის პრეზიდენტმა მისტერ ოტის ჰალეტმა განაცხადა:

— იცრუო — ეს დიადი ხელოვნებაა, ეს არის დიადი სპორტი. მჯერა, რომ მიმდინარე წელს ჩვენ ახალ ტალანტებს აღმოვაჩენთ.

ჭეშმარიტად „გენიალური“ აზრებია! ამ ტურნირის საბოლოო შედეგები ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ცნობილია მხოლოდ, რომ ტურნირზე გამოვლინებული ყველა „ტალანტი“ სამუშაოთი უზრუნველყოფილი იქნება ამერიკის შეერთებული შტატების ყვითელ პრესაში.

გულს გული იცნობსო, — ნათქვამია. ამერიკის ბურჟუაზიული პრესა, რომელიც ჭორებისა და სიცრუის რუპორს წარმოადგენს, განა უკეთეს კადრებს შეიძენს, ვიდრე ასპარეზობაში მონაწილე ცრუპენტელები არიან?

# გაზეთიყლაპია ამსტერდამიდან

წარმოიდგინეთ: თქვენ წინ დგას გრძელპირისახიანი შუახნის კაცი დავარცხნილი თმით. მას აცვია ჰოლანდიური პალტო და მხედველობის ორგანოებზე ჩამოფარებული აქვს „რქოვანი სათვალეები“. ამ ჯენტლმენის წინ მაგიდაა, რომელზედაც ძევს თეთრლამბაქიანი ფინჯნისაგან შემდგარი „სერვისი“ და ორ ადგილას აღმართულია გაზეთების საკმაოდ მოზრდილი გროვა.

ჩვენ არ ვიცით, რითაა სავსე ფინჯანი: წყლით, ყავით, თუ მაგარი სასმელით. მაგრამ, ასე გვგონია, რომ მასაც სასარგებლო დამხმარე დანიშნულება აქვს...

...მარცხენა ხელი დაღებულ პირთან მიუტანია და გაზეთის ნახევებს გულმოდგინედ იჩრის ხახაში. ალბათ, მშრალი „სანოვაგის“ ჭამით გაჭირვების ჟამს ფინჯანსაც იშველიებს, რომ ადვილად გადასანსლოს მაკულატურა!

როგორც ხედავთ, ამ მომენტში ამსტერდამელი კლიფმანი სრულებით არ ჰგავს სპორტსმენს. არც მისი მაგიდისირგვლივ სუფევს სპორტული იდილია. პირის დაღება, მარცხენა ხელის იდაყვის მოხრა და მარჯვენა ხელის პალტოს ქამართან მიჯრა ხომ ტანვარჯიშული ილეთები არ არის!

ასე გვეგონა ჩვენც. მაგრამ მოვტყუვდით თურმე; კლიფმანი საკმაოდ ცნობილი, ამასთანავე საკვირველი სპორტსმენი ყოფილა და, როგორც თვითონ აცხადებს, რეკორდიც დაუმყარებია.

აი, ესეც ამსტერდამელი რეკორდსმენი... გაზეთების ყლაპვაში!

ჩვენ ვნახეთ ამ სპორტსმენის ფოტოსურათიც: გაზეთიყლაპიას შესაჭმელი გაზეთების კვირეული რაციონი ულაგია და ნაჭრობით ყლაპავს მას...

ამბობენ, დამყარებული რეკორდის შედეგად კლიფმანის კუჭს ნაყლაპი მაკულატურა ხეირიანად ვერ გადაუმუშავებია. ეს არც საკვირველია: განა შეუძლია ვინმეს გადაამუშაოს ამ გაზეთების ამერიკანიზებული სტატიების შინაარსი?

ეტყობა, კლიფმანმა სპორტულ სარბიელზე ვერაფრით ისახელა თავი და გაზეთების ნახევების ჭამით ერთობა.

ვფიქრობთ ტყუილად გარჯილა ამსტერდამელი რეკორდსმენი. ფხიზელი თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ ეს საქმოსანი ისე წააგავს სპორტსმენს, როგორც გოლიათი მთა გაშლილ ზღვას. ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ბრძნული ჩინური ანდაზა, რომლის მიხედვით „ქოფაკის პირში სპილოს ეშვება როდი იზრდება“!..

# ახალი — ფეხბურთის წესებში

ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა ფეხბურთის თამაშის წესებში შეიტანა მთელი რიგი ცვლილებები და დამატებანი, რომლებიც ძალაში შევიდა ა. წ. პირველი მარტიდან.

გუნდში გადიდებულია სათადარიგო მოთამაშეთა რიცხვი, რის შედეგად კოლექტივი შეიძლება 12 კაცისაგან შედგებოდეს. თვითეულ მოთამაშეს უნდა ჰქონდეს პირადი ნომერი № 1-დან № 12-მდე. თვითეულ პარტიაში სათადარიგო მოთამაშეს შეუძლია ყოველი სპორტსმენის შეცვლა, შეცვლილ მოთამაშეს კი ნება აქვს ისევ დაუბრუნდეს თამაშს მხოლოდ მისი შემცვლელის ადგილას.

რამდენიმედ შეცვლილია მოედნის განლაგება. მოედნის თვითეულ ნახევარზე შუა ხაზიდან სამი მეტრის მანძილზე მის პარალელურად გაივლება თავდასხმის ხაზი. თავდასხმის ხაზებს, შუა ხაზისა და გვერდითი ხაზებს შორის მოთავსებულ ნაწილს ეწოდება თავდასხმის მოედანი. თავდასხმის ხაზი, შუა ხაზი და პირითი ხაზები იყოფა სამ თანასწორ ნაწილად პერპენდიკულარული ხაზებით წვეროებით, რომელთა სიგრძე 15-15 სანტიმეტრია თვითეულ მხარეს.

ბურთის მოწოდების წინ ორივე გუნდის წევრები უნდა მოეწყონ ორ ხაზზე (პირდაპირზე ან ტეხილზე), სამ-სამი კაცი თვითეულზე. ბურთის მოწოდების დროს უკანა ხაზის თვითეული მოთამაშე უნდა იმყოფებოდეს წინა ხაზის შესაფერისი მოთამაშის უკან, თავიანთ დერეფნებში, რომლებიც შექმნილია გვერდითი და წვერახაზებით.

წინა და უკანა ხაზების მოთამაშენი თამაშის დროს შეიძლება იყვნენ თავიანთი მოედნის ნახევარზე, სულ ერთია სად.

ბურთის მოწოდების მომენტში ამხტარი მოთამაშე ვალდებულია დახტეს პირით ხაზს იქით ბურთის მოწოდების ადგილის ფარგლებში.

მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ აქამდე არსებული წესების განსხვავებით, ბადეზე ხელის გადატანა არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება.

უკანა ხაზის მოთამაშეებს, რომლებიც იმყოფებიან თავდასხმის ხაზს ან მისი წარმოსახვითი გაგრძელების იქით, შეუძლიათ ყოველგვარი ხერხით გადააგდონ ბურთი მოწინააღმდეგის მხარეზე.

საკავშირო შეჯიბრებებში ქალთა გუნდების შეხვედრები ისევე ტარდება, როგორც მამაკაცებისა — ე. ი. 5 პარტიისაგან.

ახლა გუნდს უფლება აქვს თვითეულ პარტიაში აიღოს ორი ერთწუთიანი შესვენება, ამასთანავე იგი შეუძლია მოითხოვოს გუნდის კაპიტანმა ან მწვრთნელმა. პარტიის დამთავრებისას მხარეების შესაცვლელად წესდება ერთწუთიანი შესვენება.

საკავშირო შეჯიბრებებზე მატჩებს სჯის 5 მსაჯი: მსაჯი კოშკზე (მთავარი მსაჯი), მსაჯის თანაშემწე, ორი მსაჯი ხაზზე და მდივანი. ყველა დანარჩენ შეჯიბრებას ემსახურება მსაჯი კოშკზე და მდივანი.

კოშკზე მყოფი მსაჯი სასტვენით ნიშანს იძლევა ბურთის თვითეული მოწოდების დროს, შეცდომის დაშვების შემდეგ და ყველა ისეთ შემთხვევაში, როცა მას ეს საჭიროდ მიაჩნია თამაშის გასაჩერებლად. მეტად საგულისხმოა ის, რომ ახალი წესებით თამაშის ანგარიში კოშკზე მყოფ მსაჯთა მიერ არ ცხადდება. კოშკზე მყოფ მსაჯს უფლება აქვს გააუქმოს სხვა მსაჯების გადაწყვეტილება.

მსაჯის თანაშემწე და მდივანი ადგილს იკავებენ კოშკზე მყოფი მსაჯის მოპირდაპირე მხარეზე. მსაჯის თანაშემწე ვალდებულია თვალყური ადევნოს მოთამაშეების გადანაცვლებას საშუალო ხაზზე, მოთამაშეთა განლაგებას, ბადესთან მოთამაშეების მიერ დაშვებულ შეცდომებს; იგი აწარმოებს წუთიანი შესვენების აღრიცხვას, იძლევა ნებართვას მოთამაშეთა შესაცვლელად და ასრულებს უფროსი მსაჯის სხვა დავალებებს. მსაჯის თანაშემწე ისევე, როგორც კოშკზე მყოფი მსაჯი, მოთამაშეების მიერ დაშვებულ შეცდომებს აღნიშნავს სასტვენით.

შემცირებულია ბურთის მოცულობა. მისი დიამეტრი უდრის 65-68 სანტიმეტრს. თამაშის დაწყების წინ ბურთი უნდა იწონიდეს 250-300 გრამს.

## საინტერესო თემაზე

# უხუცესი მარათონელი მოცურავე

61 წელი მსახურობდა ბათუმის გადამრჩენ სადგურში მეზღვაურად მამედ ბედია. ამ ხნის განმავლობაში ბათუმელები ყოველთვის ხედავდნენ სადგურის კოშკურაზე მეზღვაურს წითელი თავსაკრავით, რომელიც ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ტალღებში შეცურებულ მობანავეებს.

ბათუმის მაშინდელი გაზეთების ქრონიკაში ხშირად იყო მოხსენებული ბედია, რომელიც დიდი ღელვის დროსაც კი გაბედულად შედიოდა აბობოქრებულ ზღვაში ადამიანის გადასარჩენად.

1934 წელს 82 წლის მ. ბედიამ უკანასკნელი მსხვერპლი გამოსტაცა შავი ზღვის ულმობელ ტალღებს. ეს იყო მოსკოველი სტუდენტი, 4.016-ე ადამიანი, რომელიც მ. ბედიამ დაღუპვას გადაარჩინა.

...გასული საუკუნის 70-იან წლებში ბათუმის სადგურში მტვირთავად დაიწყო მუშაობა ახალგაზრდა აფხაზმა მ. ბედიამ. ძნელი იყო მტვირთავის ბედი. მთელი დღე უზარმაზარი ყუთების ქვეშ მოხრილი ახალგაზრდა გაჭირვებით მიათრევდა დღეებს.

მალე მას ბედმა გაუღიმა, ფელუგაზე მოეწყო მენავეთ. მძლავრი მკლავებით ადვილად ხმარობდა ნიჩაბს, გადაჰყავდა მგზავრები რეიდზე მდგომ გემებზე, გადაჰქონდა ტვირთი. მენავედ მუშაობის დროს ხშირად გადაურჩენია ბედიას ნავიდან გადავარდნილი მგზავრი. მას უხდებოდა ზღვის ფსკერზე ჩაძირული ტვირთის ამოღებაც. მალე ბედიამ საუკეთესო მოცურავისა და მყვინთავის სახელი გაითქვა (ის ადგილი, საიდანაც მამედმა ჩაძირული ტვირთი ამოიღო, 21 მეტრი სიღრმისა აღმოჩნდა).

როდესაც ბათუმში გადამრჩენი სადგური მოაწყეს, მამედმა აქ მეზღვაურად დაიწყო მუშაობა. აქედან 61 წლის განმავლობაში ერთი და იგივე მეორდებოდა: გადარჩენილს ნაპირზე გამოიყვანდა, მოასულიერებდა და ისევ თავის სადარაჯოს უბრუნდებოდა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ქალაქის ყავახანების მუდმივმა სტუმრებმა მორიგი გასართობი მოიგონეს—200 მანეთი ჯილდო დაუნიშნეს მოცურავეს, რომელიც შეძლებდა ბათუმიდან ფოთში გადაცურვას.

ჯილდოს აღების მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მათ შორის იყო ბედიაც. ზღვა ღელავდა, როცა მოცურავენი დაიძრნენ. ცივოდა. რიგრიგობით სტოვებდნენ მოცურავენი ამ მძიმე შეჯიბრებას, ბევრი იქვე პორტის ნაპირზე გამოვიდა, ზოგიც ბარცხანას, მახინჯაურსა და ჩაქვს არ გასცილებია. არსად სჩანდა მხოლოდ ბედია. ჩაქვშიც ეძებეს, ქობულეთშიც მიაკითხეს, მაგრამ უშედეგოდ.

ჯიუტი მეზღვაური კი ამ დროს შეუპოვრად მიაპობდა ტალღებს და გზას იკაფავდა ფოთისაკენ.

...ღამდებოდა. ფოთის ყაზარმებთან სალდათებმა, რომელთაც კოცონი დაენთოთ და თბებოდნენ, დაინახეს, რომ ზღვიდან გამოცურა კაცმა. იგი ფეხზე ძლივს იდგა და იქვე ნაპირზე წამოწვა. ეს იყო მამედ ბედია. მან სალდათებს ძუნწად აუხსნა საქმის ვითარება. აღტაცებულმა სალდათებმა მეზღვაური ცეცხლთან მიიწვიეს, გაათბეს და ასაუზმეს. ერთმა მათგანმა თავისი ძველი მაზარაც კი აჩუქა.

მეორე დღეს სამხედრო ნაწილის ოფიცრებმა აქტი შეადგინეს, სადაც ზუსტად აღნიშნეს მოცურავის ზღვიდან გამოსვლის ადგილი და დრო. სალდათებმა ერთმანეთში სამ მანეთამდე ვერცხლის ფული შეაგროვეს და კაცი, რომელმაც არც კი იცოდა, რომ მან მარათონული ცურვის მსოფლიო რეკორდი დაამყარა, გაუდგა გზას ბათუმისაკენ.

მამედ ბედიამ ყოველგვარი დახმარების გარეშე 32 საზღვაო მილი — 59 კილომეტრი გაცურა. ეს მოხდა უფრო ადრე, ვიდრე ფრანგი ფუნთუშის მცხობელი მიშელი ლამანშს გადაცურავდა და მარათონელი მოცურავის საერთაშორისო სახელს დაიმსახურებდა. ბედიას ამბავი კი ფოთის ყაზარმებს და ბათუმის ყავახანებს არ გასცილებია.

დღეს მსოფლიოში საუკეთესო საბჭოთა მარათონელმა მოცურავეებმა მ. ბედიას შედეგები ძალზე ჩამოიტოვეს უკან, მაგრამ მაშინ ეს დიდი მიღწევა იყო.

ა. მონიავა

პასუხისმგებელი რედაქტორი მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის პარასკეობით.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ტირაჟი 15.000

უე 02469